უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში.

2021 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

|                                   | USD    | EUR    |
|-----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის | 3,0976 | 3.5040 |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის | 2,7020 | 2.8844 |

#### იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

#### კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი

დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

*კომპანია როგორც მოიჯარე*

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

**მოგების გადასახადი**

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

**გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა**

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

## სს სმკ ულუსაღ ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის გამოყენებული წლიური განაკვეთები:

| ჯგუფი                               | %                                    |
|-------------------------------------|--------------------------------------|
| მანქანა-დანადგარები                 | 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |
| ოფისის აღჭურვილობა                  | 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 15% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

### ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

#### *ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიას მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს.

#### *ფული და ფულის ეკვივალენტები*

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

#### *სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

#### *ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

#### *ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა*

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს.

#### *ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა ან ზარალში.

### საწესდებო კაპიტალი

კომპანია წარმოადგენს თურქეთში რეგისტრირებული კომპანია სს სმკ ულუსალ ინშაათ ვე თიჯარეთის ფილიალს საქართველოში. სადამფუძნებლო დოკუმენტაციით მშობელი საწარმოს მიერ ფილიალის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული არ არის. ფილიალის მიზნობრივი დაფინანსება ხორციელდება საქიროების მიხედვით, რაც აღიარდება სათაო ოფისის მიმართ მიმდინარე ვალდებულებად.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **გადასახადები.** კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადებისა და პროცენტების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისაგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგება-ზარალზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

სს სმკ ულუსალ ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

#### 4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                             | 31.12.2022     | 31.12.2021     | 31.12.2020     |
|---------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში                 | 153 764        | 180 348        | 140 068        |
| ფული საბანკო ანგარიშებზე (ეროვნულ ვალუტაში) | 91             | 314 863        | 28             |
| ფული საბანკო ანგარიშებზე (უცხოურ ვალუტაში)  | -              | 599            | -              |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>      | <b>153 854</b> | <b>495 809</b> | <b>140 096</b> |

#### 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                       | 31.12.2022     | 31.12.2021     | 31.12.2020       |
|---------------------------------------|----------------|----------------|------------------|
| გადავადებული მოთხოვნა                 | -              | -              | 5 666 342        |
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 465 674        | 472 639        | 1 006 096        |
| გადახდილი ავანსები                    | -              | -              | -                |
| წინასწარ გადახდილი ხელფასები          | -              | -              | 18 228           |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>465 674</b> | <b>472 639</b> | <b>6 690 665</b> |

#### 6. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                               | 31.12.2022     | 31.12.2021       | 31.12.2020       |
|-------------------------------|----------------|------------------|------------------|
| ძირითადი და დამხმარე მასალები | 191 133        | 874 330          | 892 154          |
| სხვა მარაგები                 | 19 552         | 263 485          | 273 710          |
| დაუმთავრებელი წარმოება        | -              | -                | 478 756          |
| <b>სულ მარაგები</b>           | <b>210 685</b> | <b>1 137 815</b> | <b>1 644 619</b> |

სს სმკ ულუსაღ ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

## 7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                                        | 31.12.2022 | 31.12.2021   | 31.12.2020    |
|--------------------------------------------------------|------------|--------------|---------------|
| <b>მანქანა-დანადგარები</b>                             |            |              |               |
| ისტორიული ღირებულება                                   | 263 330    | 1 147 849    | 1 147 501     |
| დაგროვილი ცვეთა                                        | -263 330   | -1 147 542   | -1 060 293    |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>                     | <b>(0)</b> | <b>307</b>   | <b>87 208</b> |
| <b>სატრანსპორტო საშუალებები</b>                        |            |              |               |
| ისტორიული ღირებულება                                   | -          | 44 884       | 44 884        |
| დაგროვილი ცვეთა                                        | 0          | -44 884      | -41 784       |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>                     | <b>-</b>   | <b>-</b>     | <b>3 100</b>  |
| <b>ოფისის აღჭურვილობა</b>                              |            |              |               |
| ისტორიული ღირებულება                                   | 44 872     | 56 283       | 56 283        |
| დაგროვილი ცვეთა                                        | -44 686    | -55 232      | -52 106       |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>                     | <b>186</b> | <b>1 051</b> | <b>4 177</b>  |
| <b>ავეჯი და სხვა ინვენტარი</b>                         |            |              |               |
| ისტორიული ღირებულება                                   | 5 680      | 14 892       | 14 892        |
| დაგროვილი ცვეთა                                        | -5 584     | -13 619      | -14 058       |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>                     | <b>96</b>  | <b>1 274</b> | <b>835</b>    |
| <b>იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა</b>             |            |              |               |
| ისტორიული ღირებულება                                   | 14 842     | 14 842       | 14 842        |
| დაგროვილი ცვეთა                                        | -14 842    | -14 657      | -12 430       |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>                     | <b>-</b>   | <b>186</b>   | <b>2 412</b>  |
| <b>არამატერიალური აქტივები</b>                         |            |              |               |
| ისტორიული ღირებულება                                   | 4 012      | 4 012        | 4 012         |
| დაგროვილი ცვეთა                                        | -4 012     | -3 943       | -3 341        |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>                     | <b>-</b>   | <b>69</b>    | <b>671</b>    |
| <b>სულ ძირ. საშუალებები და არამატერიალური აქტივები</b> | <b>282</b> | <b>2 887</b> | <b>98 402</b> |

სს სმკ ულუსალ ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

## 8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                               | 31.12.2022       | 31.12.2021       | 31.12.2020       |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 985 782          | 603 890          | 4 059 094        |
| მიღებული ავანსები წყლის ქსელების პროექტიდან   | -                | -                | -                |
| მოკლევადიანი ვალდებულებები - ქვეკონტრაქტორები | -109 211         | 844 149          | 2 252 880        |
| მიმდინარე ვალდებულებები - სათაო ოფისი         | -                | 800 968          | 1 294 304        |
| გადასახდელი ხელფასები                         | -                | -                | -                |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები               | 184 456          | 23 822           | 94 817           |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>      | <b>1 061 027</b> | <b>2 272 828</b> | <b>7 701 095</b> |

## 9. საგადასახადო ვალდებულება

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                                       | 31.12.2022    | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|-------------------------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| გადასახდელი გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) | -1 009        | 11 380        | 44 533        |
| <b>სულ საგადასახადო ვალდებულებები</b>                 | <b>-1 009</b> | <b>11 380</b> | <b>44 533</b> |

## 10. საწესდებო კაპიტალი

კომპანია წარმოადგენს თურქეთში რეგისტრირებული კომპანია სს სმკ ულუსალ ინშაათ ვე თიჯარეთის ფილიალს საქართველოში. სადამფუძნებლო დოკუმენტაციით მშობელი საწარმოს მიერ ფილიალის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული არ არის. ფილიალის მიზნობრივი დაფინანსება ხორციელდება საჭიროების მიხედვით, რაც აღიარდება სათაო ოფისის მიმართ მიმდინარე ვალდებულებად. კომპანიის საკუთარი კაპიტალი წარმოადგენილია გაუნაწილებელი მოგების სახით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

|                                 | 31.12.2022      | 31.12.2021      | 31.12.2020     |
|---------------------------------|-----------------|-----------------|----------------|
| გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) | -229 524        | -175 058        | 828 155        |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>        | <b>-229 524</b> | <b>-175 058</b> | <b>828 155</b> |

სს სპკ ულუსაღ ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

## 11. შემოსავლები

კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავალი და თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| შემოსავალი                           | 2022             | 2021           |
|--------------------------------------|------------------|----------------|
| შემოსავალი წყლის ქსელების პროექტიდან | 0                | 757 560        |
| შემოსავალი საქონლის გაყიდვებიდან     | 1 052 705        | 1 949          |
| <b>სულ შემოსავალი</b>                | <b>1 052 705</b> | <b>759 510</b> |

-

| თვითღირებულება            |                 |                   |
|---------------------------|-----------------|-------------------|
| მარაგების ჩამოწერა        | -927 130        | -394 253          |
| საწვავის ხარჯი            | 0               | -25 633           |
| ქვეკონტრაქტორები          | 0               | -607 032          |
| ხელფასის ხარჯი            | 0               | -102 253          |
| სატრანსპორტო ხარჯი        | 0               | -300              |
| <b>სულ თვითღირებულება</b> | <b>-927 130</b> | <b>-1 129 471</b> |

## 12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები               | 2022            | 2021            |
|-------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)              | -50 000         | -281 545        |
| იჯარის ხარჯი                                    | -55 745         | -64 606         |
| კომუნალური ხარჯი                                | -5 213          | -4 574          |
| დაზღვევის ხარჯი                                 | 0               | -16 943         |
| რემონტის ხარჯი                                  | 0               | -38 446         |
| საკონსულტაციო ხარჯი                             | 0               | -30 118         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                            | -2 171          | -95 863         |
| საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა) | -17             | -536            |
| ბანკის მომსახურება                              | -1 116          | -74 196         |
| დაცვის ხარჯი                                    | 0               | -15 106         |
| სხვა საერთო ხარჯი                               | -42 229         | -55 290         |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>    | <b>-156 492</b> | <b>-677 221</b> |

სს სპკ ულუსაღ ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

### 13. ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯი საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

| ფინანსური ხარჯები                   | 2022     | 2021            |
|-------------------------------------|----------|-----------------|
| საპროცენტო ხარჯი (საბანკო გარანტია) | 0        | -238 586        |
| <b>სულ ფინანსური ხარჯები</b>        | <b>0</b> | <b>-238 586</b> |

### 14. სხვა (ხარჯი)/შემოსავალი

კომპანიის სხვა (ხარჯი)/შემოსავალი საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                      | 2022           | 2021           |
|--------------------------------------|----------------|----------------|
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები       | 11 472         | 106 077        |
| დადებითი საკურსო სხვაობა             | 11 508         | 584 220        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები           | -46 529        | -407 740       |
| <b>სულ სხვა (ხარჯი) / შემოსავალი</b> | <b>-23 549</b> | <b>282 556</b> |

### 15. მოგების გადასახადის ხარჯი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით კომპანიის შემოსავალთან მიმართებით გამოყენებადი მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს. აღნიშნული პერიოდისათვის კომპანიას საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მოგების გადასახადის ვალდებულებულება არ წარმოეშევა.

### 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ანგარიშგების გამოცემამდე რაიმე სახის მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი არ ქონია.